დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის
2008 წლის „29“ „ იანვრის “
№3-ს §1 ბრძანებით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შრომის შინაგანაწესი

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შრომის შინაგანაწესი შედგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და 72-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს საჯარო მოსამსახურეთა შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სამუშაოს ხარისხიანად შესრულებას, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას და შრომის ნაყოფიერების გაზრდას.

II. სამუშაო დროის დასაწყისი და დასასრული

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება 8 საათითა და ერთსაათიანი შესვენებით.

მუშაობა იწყება 9 საათზე, მთავრდება 18 საათზე.
შესვენება - 13-დან 14 საათამდე. (09.03.2009 №7-ს §2)

III. დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე, ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი

დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე, ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნა ცალკეულ მუშაკთათვის დასაშვებია, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ გადაუდებელი, წინასწარ გაუთვალისწინებელი სამუშაოს შესრულების მიზნით, რომელთა სწრაფად და დროულად შესრულებაზე დამოკიდებულია უზენაესი სასამართლოს ნორმალური მუშაობა.
ამასთან, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობის მითითებით მუშაკთა სამუშაოდ გამოძახება უნდა გაფორმდეს კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.

IV. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულების მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი

სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულების (ბრძანების) მოსამსახურეთათვის გაცნობა ხდება:

დანიშნულების მიხედვით, სტრუქტურულ ქვედანაყოფში (განკარგულების) ბრძანების გაგზავნით;

ბრძანების ტექსტის გაცნობით, რომელსაც პირადად აწერს ხელს საჯარო მოსამსახურე;

ბრძანების სპეციალურ დაფაზე მოთავსებით.

V. ხელფასის გაცემის დრო და ადგილი

უზენაესი სასამართლოს მოსამსახურის შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსაგან და სხვა დანამატებისაგან, რაც გათვალისწინებულია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით.

ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ. თუ ხელფასის გაცემის დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა, იგი გაიცემა წინა დღეს.

საჯარო მოსამსახურის ხელფასს, როგორც წესი, გასცემს უზენაესი სასამართლოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილება.

VI. სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობრივი უფლება-მოვალეობანი, შრომის დაცვა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოხელეები და დამხმარე მოსამსახურეები მოვალენი არიან:

უფლებამოსილება განახორციელონ პროფესიული ჩვევების, ცოდნისა და გამოცდილების ჯეროვანი და სრული გამოყენებით;

შეასრულონ ხელმძღვანელის ბრძანება და დავალება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას;

იყვნენ კოლეგიალურები, კორექტულები მოსამართლეებსა და კოლეგებთან ურთიერთობაში;

თავაზიანად ეპყრობოდნენ პროცესის მონაწილეებს, სასამართლოში მოსულ მოქალაქეებს;

არ გამოიყენონ შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამონათქვამები. სოციალურ ქსელში ან მედიაში თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს სასამართლო სისტემისა და ზოგადად, საჯარო სამსახურის ავტორიტეტს; (18.11.2014 №29-ს §3)

თავი შეიკავონ სასამართლოს შენობაში სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლების მოწვევისა და მათთან შეხვედრებისგან აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის უშუალო ხელმძღვანელის ან სასამართლოს მენეჯერის თანხმობის გარეშე; (18.11.2014 №29-ს §3)

მოქალაქეებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისას, აგრეთვე, სატელეფონო საუბრის დაწყებამდე ჯერ თავი წარადგინონ;

სისტემატურად იმაღლებდნენ პროფესიული ცოდნის დონესა და კვალიფიკაციას;

წესრიგში ჰქონდეთ სამუშაო ადგილი, დაიცვან სისუფთავე უზენაესი სასამართლოს შენობასა და მის ტერიტორიაზე;

გაუფრთხილდნენ სახელმწიფო ქონებას, ეკონომიურად გამოიყენონ ელექტროენერგია და სხვა მატერიალური რესურსები;

სამსახურებრივი ურთიერთობისას, ასევე სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ არ გაავრცელონ სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება, სხვა პირთა ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული, აგრეთვე, რაიმე ინფორმაცია, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს;

არ იყვნენ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრები;

კანონით დადგენილი ფორმითა და წესით წარადგინონ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია;

დაიცვან უზენაესი სასამართლოს შინაგანაწესი;

ყურადღება მიაქციონ პიროვნულ იერ-სახეს, ჩაცმულობასა და სხვა აქსესუარებს, უპირატესობა მიანიჭონ ჩაცმის კლასიკურ სტილს: მამაკაცებისათვის დაწესდეს - მუქი ფერის კოსტიუმი, ღია ფერის პერანგი და ჰალსტუხი, ხოლო ქალბატონებისათვის - ღია ფერის პერანგი და საქართველოს

უზენაესი სასამართლოს მიერ შეძენილი მუქი ფერის კოსტიუმი; (22.07.2011 №21-ს §1)

დაიცვან შრომის დისციპლინა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოზე დაგვიანება ან სხვა დისციპლინური გადაცდომა გამოიწვევს მოსამსახურის დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით;

მოსამსახურეს უფლება აქვს:

მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციის შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები;

მოითხოვოს სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით;

გაწევრიანდეს პროფესიულ კავშირში და მონაწილეობდეს მის საქმიანობაში.

VII. შრომის უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ღონისძიებათა შესრულება

საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან, გაეცნონ შრომის უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო წესებსა და ინსტრუქციებს.

შრომის უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და ინსტრუქციების გაცნობაზე პასუხისმგებელია უზენაესი სასამართლოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილება. იგი აწარმოებს სათანადო რეგისტრაციის ჟურნალს წესისა და ინსტრუქციების გაცნობის თაობაზე, ხოლო ახლად მიღებულ საჯარო მოსამსახურეთა ხელმოწერით დადასტურებულ ცნობებს წარუდგენს კადრების სამსახურს, მათ პირად საქმეებში შეტანის მიზნით.

VIII. სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი

უზენაესი სასამართლოს მოსამსახურე ვალდებულია, სამსახურში საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ იმავე დღეს აცნობოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელსა და კადრების სამსახურს.

IX. შრომის შინაგანაწესის დამტკიცება და საჯარო მოსამსახურეთათვის გაცნობა

შრომის შინაგანაწესს ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

კადრების სამსახური ვალდებულია, სამსახურში მიღებისას საჯარო მოსამსახურეს გააცნოს შინაგანაწესი ხელწერილის დადებით, აგრეთვე, უზრუნველყოს ნებისმიერ დროს მისი გაცნობის შესაძლებლობა.

შინაგანაწესში ცვლილებები შევა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად.

შინაგანაწესი ძალაში შედის მისი დამტკიცების მომდევნო სამუშაო დღიდან.